

საგრანტო პროექტის „№AR/147/3-103/14“ - კვლევის შედეგების პრეზენტაცია



2017 წლის 27 მარტს, ქ. გურჯაანში, გურჯაანის სარაიონო საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებაში საგრანტო პროექტის „ახალი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება საქართველოს მთიანი რეგიონების არიდული ზონის ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით (№AR/147/3-103/14)“ კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.

აღნიშნული პროექტი სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში (გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები) გამარჯვებული სამეცნიერო-საგრანტო პროექტია.


სამეცნიერო-საგრანტო პროექტის წარმდგენი და თანადადამფინანსებელი ორგანიზაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტია.

საგრანტო პროექტის მიზანს წარმოადგენდა, ენერგომატარებლების დამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება, რომელიც განაპირობებს საქართველოს მთიანი რეგიონების, კერძოდ არიდულ და ნახევრად არიდულ ზონაში განლაგებული ურბანიზირებული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგებას.


სამეცნიერო კვლევები, რომელიც 2 წლის განმავლობაში მდ. ჭერემისხევის შერჩეულ საკვლევ უბანზე მიმდინარეობდა, განხორციელდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით.

სამეცნიერო-საგრანტო პროექტის (№AR/147/3-103/14) პრეზენტაციას ესწრებოდნენ: საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცენტრების ასოცირებული პროფესორები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უფროსი მეცნიერ თანამშრომლები, ასევე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები.

საგრანტო პროექტის „ახალი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის შემუშავება საქართველოს მთიანი რეგიონების არიდული ზონის ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით (№AR/147/3-103/14)“ სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის, საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი თარხან თევზაძე.



პრეზენტაციას უძღვებოდნენ საგრანტო პროექტის „№AR/147/3-103/14“ ძირითადი შემსრულებლები: (დოქტორანტი) გიორგი ომსარაშვილი და (მაგისტრი) ფერიდე ლორთქიფანიძე.



ბ-ნი გიორგი ომსარაშვილი და ქ-ნი ფერიდე ლორთქიფანიძე შესავალი სიტყვით გამოვიდნენ და მადლობა გადაუხადეს სტუმრებს პროექტის (№AR/147/3-103/14) პრეზენტაციაზე მობრძანებისთვის, აგრეთვე სინანული გამოთქვეს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, ბ-ნი თარხან თევზაძის ამჟამინდელი არასახარბიელო ჯამრთელობის მდომარეობის გამო.

მათ ასევე ისაუბრეს პროექტში დაგეგმილი ამოცანების გეგმაგრაფიქზე და განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე, აღ-

ნიშნეს, რომ სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა, როგორც სავლე, ასევე ლაბორატორიულ და საოფისე პირობებში.

სამეცნიერო-საგრანტო პროექტის პრეზენტაციაზე მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს, ისეთ პრობლემურ საკითხზე, როგორცაა ურბანიზირებული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგება.



მათ, ისაუბრეს დღეს არსებულ წყალსარგებლობის მეთოდებზე და განიხილეს, ამ მეთოდების დადებითი და უარყოფით მხარეები.

ხაზგასმით იყო აღინიშნული, რომ პროექტის თემატიკა ძალზე აქტუალურია და სამეცნიერო კვლევები, რომელიც 2 წლის განმავლობაში მდ. ჭერემისხევის შერჩეულ საკვლევ უბანზე მიმდინარეობდა, მიზნად ისახავდა ალტერნატიული გზით ურბანიზირებული ტერიტორიების სასმელი წყლით მომარაგებას.

მომხსენებლებმა ასევე ისაუბრეს მდ. ჭერემისხევის შერჩეულ საკვლევ უბანზე ჩატარებულ (ტოპოგრაფიულ, გეომორფოლოგიურ, გეოლოგიურ, საინჟინრო გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ, ორგანოლექტიკურ, ქიმიურ-ფიზიკური და ბაქტერიოლოგიური მარკენებლები და ა.შ.) სამეცნიერო გამოკვლევებზე და აღნიშნეს, რომ ამ გამოკვლევათა შედეგების თანახმად, მდ. ალაზნის ჭალიდან ელექტროენერგიაზე მომუშავე წყალსქაჩი ტუმბოების საშუალებით მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების ნაცვლად, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიის დიდ დანახარჯებთან, გამოყენებულ იქნას ცივ-გომბორის ქედიდან ჩამომავალი ხეობებში არსებული ფილტრატი წყლები, რომლის მიწოდებაც თვითდენითაა შესაძლებელი.

პროექტის ძირითადმა შემსრულებელმა გიორგი ომსარაშვილმა ისაუბრა, პროექტის ფარგლებში შექმნილ ინტელექტუალურ საკითხებზე.



მან ყურადღება გამახვილა პროექტის მიღებულ ძირითად შედეგებზე და აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში შეიქმნა ორი სამეცნიერო სტატია და დამუშავდა წყალსაღებ ნაგებობის სქემები და ნახზები, რომელიც საქ-პატენტში გამოგონებაზეა წარდგენილი. ასევე, ხაზ გასმით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს შუალედური და საბოლოო პროგრამული ანგარიშის მომზადება.

კითხვა-პასუხი:

ზურაბ ვარაზაშვილი: - ბ-ნო გიორგი, თქვენ აღნიშნეთ, რომ საკვლევ უბანზე ჩაატარეთ საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები, იქნება დაგვიკონკრეტოთ იქ გავრცელებული წყალშემცავი გრუნტების სიმძლავრე და ლითოლოგიური აგებულება?

გიორგი ომსარაშვილი: - ბ-ნო ზურაბ, გაბურღილი ჭაბურღილების საფუძველზე, საკვლევ უბანზე გამოიყოფა 3 ჰორიზონტი: კაჭარ-კენჭნარი და ხრეში შევსებული ქვიშით, რომელიც 0,0-დან - 2,4 მ-მდე ვრცელდება; კაჭარ-კენჭნარი და ხრეში შევსებული თიხაქვიშით, რომელიც 2,4-დან - 5,1 მ-მდე ვრცელდება და ნეოგენური ასაკის (N²ak+ap აკჩაგილ-აფშერონის) წყალგაუმტარი, მონაცრისფრო-მოლურჯო თიხები, რომელიც 5,1-დან - 10 მ-მდე ვრცელდება;



ზურაბ ვარაზაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი, გეოლ. მეცნ. დოქტ.

ედუარდ კუხალაშვილი: - ქ-ნო ფერიდე, თქვენ არნიშნეთ, რომ მდ. ჭერემისხევის წყლებში გარკვეული ტიპის დაბინძურებები შეინიშნება, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ რამდენად შესაძლებელია ამ წყლების სასმელად გამოყენება, როცა ამბობთ, რომ ეს წყალი დაბინძურებულია?

ფერიდე ლორთქიფანიძე: - ბ-ნო ედუარდ, აღნიშნული წყლების სასმელად გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მოეწყობა სპეციალური წყალმიმღები ნაგებობები, როგორცაა: რეზერვუარები, სალექარები და სხვ., სადაც მოხდება, ამ წყლის დაწმენდა, გაწმენდა, დაქლორვა, ფილტრებისა და ბიოფილტრების განთავსება და ა.შ.



ედუარდ კუხალაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი. ტექნ. მეცნ.დოქტ. პროფ.

პრეზენტაციის დასრულებისას სამეცნიერო-საგრანტო პროექტის ძირითადმა შემსრულებლებმა, **გიორგი ომსარაშვილმა და ფერიდე ლორთქიფანიძემ**, მადლობა გადაუხადეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისთვის, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს პროექტის თანადაფინანსებისთვის და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელებს გაწეული დახმარებისა და ხელშეწყობისთვის.



მათ ასევე, კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა სტუმრებს პრეზენტაციაზე მობრძანებისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ ახლომომავალში აღნიშნული პროექტის დანერგვისთვის კვლავ ითანამშრომლებენ.